მამუკა მაღულარია

კაცი, რომელსაც როკ-ნ-როლი ძლიერ უყვარდა

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ წინა საღამოს უფროსის დაბადების დღეზე, დალევა ცოტა ზედმეტი მომივიდა, სწორედ იმდენი, რომ მეორე დღეს სამსახურის გაცდენის ნებართვა დავიმსახურე. ჰოდა, მეორე დღისით სახლიდან გამოვედი, სეირნობით დავუყევი ქუჩას და თან ვიტრინების თვალიერებით ვიქცევდი თავს. წიგნის მაღაზიასთან შევჩერდი, სიგარეტი გადავაგდე და შიგ შევედი. მუსიკასა და კინოზე უცხოური გამოცემების თვალიერება მიყვარდა. მიყვარდა იმიტომ, რომ ჩემი ჯამაგირით ამათ ყიდვაზე ოცნებაც კი არ მიხდებოდა. უცებ, მთელს ამ ბრწყინვალე, სამნიშნა-ფასიან შედევრებს შორის, მოკრძალებული ზომის, ზაფრანის ფერი, ქართულენოვანი წიგნი შევნიშნე, რომელზეც ფასი არ იყო მითითებული. წიგნი ხელში ავიღე და მეორე ხელი ინსტინქტურად ჯიბეში ჩავაცურე. მაგრამ... საბოლოოდ სწორედ მაშინ გამოვფხიზლდი, როცა გამყიდველმა გოგონამ გამომიცხადა: "უფასოა, ოღონდ მხოლოდ ერთი ცალი აიღეთ"-ო. ასეც მოვიქეცი, გარეთ გამოვედი და წიგნი გადავფურცლე...

საერთოდ იმდენს არ ვსვამ, რომ ნაბახუსევის სინდრომი და მითუმეტეს ჰალუცინაციები დამემართოს. ჰოდა გარდა იმისა, რომ წეღან ყურებს, ახლა თვალებს არ ვუჯერებდი: ყდაზე, ერთ-ერთი ჩემი ყველაზე საყვარელი ფირფიტის გაფორმება იყო გამოყენებული. შიგნით კი, ეტყობა ავტორის წარწერა უნდა ყოფილიყო, მელნისფერი კალამით გაკეთებული: "……-ს, პატივისცემით. კლიმენტი" - ალბათ, წერტილების მაგიერ მფლობელს თავისი სახელი რომ ჩაეწერა, იმავე მელნისფერი კალამით. სხვა გზა არ იყო, ავდექი და ისევ სახლში დავბრუნდი...

გამოვტყდები, ცოტა დაბნეული ვიყავი. ეს ყოველივე თავიდან თარგმანი მეგონა,

მაგრამ პირველივე გვერდიდან თხრობა თბილისიდან რომ დაიწყო, ტელეფონი გამოვრთე და ფეხები სკამის ქვეშ შევიკეცე. ბოლოში ისე გავედი, რომ თვალიც არ დამიხამხამებია, თან იმას ვფიქრობდი: როგორ მოთავსდა 100 ფურცელა მოთხრობაში, როკ-ნ-როლის მთელი ისტორია - ელვის პრესლიდან ქეთი მელუამდე-მეთქი. საქმეც ისაა, რომ თან ეს ყველაფერი ნოველაში იყო ჩაწნული, რომლის სიუჟეტიც რომელიღაც, სულ სხვა, ძალიან ნაცნობ მოთხრობას მაგონებდა. მისტიფიკაციისათვის თავის დაღწევისა და შთაბეჭდილებების დაცხრომის შემდეგ, სავსებით ლოგიკური აზრი გამიჩნდა: წიგნის ავტორი, მედიასა და სოც. ქსელებში მომეძებნა. ბოლოს როგორც იქნა, ჩვენთან ყველაზე პოპულარულ ინტერნეტ პორტალზეც გადავაწყდი და შევეხმიანე...

კლიმ მარი, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა. ასე 38 წლის თუ იქნებოდა, მსუბუქად გაჭაღარავებული და მხრებში ოდნავ მოხრილი. ლუდზე დავპატიჟე, დრო ბევრი არ გვქონდა. რათქმაუნდა მუსიკაზე საუბრით დავიწყეთ. ჩვენი გემოვნება მაქსიმალურად დაემთხვა ერთმანეთისას. მერე ლიტერატურაზე გადავედით. "მთელი ეს როკ-ენ-როლი" მისი პირველი მცდელობა აღმოჩნდა. საქებარ სიტყვებს არ ვიშურებდი, ის კი ირონიულად იგერიებდა კომპლიმენტებს. იქვე, წიგნის კიდევ ორი ეგზემპლარი გადმომცა, ჩემი მეგობრებისთვის. მერე, სიგარეტი გავაბოლეთ და ვეუბნები: არ ვიცოდი, ამ თემაზე ქართულად რამე თუ არსებობდა მეთქი. ჰოდა, ჩემი მოტივიც ზუსტად ეგ იყოო - მიპასუხა და კიდევ ის, რომ ძალიან მიყვარს მუსიკაო... ამ დროს კლიმს, ვიღაც ნაცნობი მიესალმა, სულ ნახევარი წუთი ისაუბრეს. უცნაირი ის იყო, რომ მეგობარი მას სხვა სახელით მიმართავდა. მთელი ჩვენი შეხვედრის განმავლობაში, არ მტოვებდა აკვიატებული შეგრძნება, რომ ეს კაცი საიდანღაც მეცნობა, მაგრამ ამ ამოცანას მაინც ვერასდროს გავართვი თავი... ბოლოს, ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და დავიშალეთ. აი, სულ ეს იყო...

ამ ამბიდან, ასე ნახევარი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ საღამოს, ტელევიზორთან

მოკალათებული, როცა უმოწყალოდ ვაწვალებდი პულტს, მოულოდნელად ჩემი ბავშვობის დროინდელ სატელევიზიო სპექტაკლს გადავაწყდი, თან სწორედ იმ მომენტს, სადაც ეროსი მანჯგალაძის გმირი ეუბნება თავის ასისტენტს: "აბა კლიმ, ახლა ის დიდი მწერლები ვუბოძოთ, რომლებიც საოცრად ადვილად იკითხებიან". კლიმის გაგონებაზე, ისევ "მთელი ეს როკ-ენ-როლი" გამახსენდა და თითქოს გონებაც გამინათდა. ტელეფონი ავიღე და ჩემს უცნაურ ნაცნობს შევეხმიანე, მაგრამ ნომერი გაუქმებული აღმოჩნდა. ცოტათი ავღელვდი. მერე ინტერნეტი გადავატრიალე, მაგრამ აქაც უშედეგოდ. თვალი უნებურად წიგნის თაროსკენ გამექცა. "მთელი ეს როკ-ენ-როლი" ადგილზე იდო. ის ის იყო წიგნი ხელში ავიღე და სავარძელში მოწყვეტით ჩავეშვი, რომ სპექტაკლიც დამთავრდა და ფინალში დომენიკო ჩიმაროზას ჰობოის კონცერტის შესავალიც გაისმა...

2012